# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 27 ივნისი 1996 № 60 (285) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთმა შინ შეიარა

**გერმანია 1 (6) — 1 (5) ინგლისი**

| გერმანია | | ინგლისი | |
|---|---|---|---|
| 1 | კეპკე | 1 | სიმენი |
| 2 | როიტერი | 3 | პირსი |
| 5 | ჰელმერი | 5 | ადამსი |
| 6 | ზამერი | 4 | ინსი |
| 14 | ბაბელი | 6 | საუთგეიტი |
| 4 | ფროინდი | 7 | პლატი |
| 7 | მიოლერი | 8 | გესქოინი |
| 8 | შოლი | 17 | მაკმანამანი |
| 17 | ციგე | 9 | შირერი |
| 21 | აილტსი | 10 | შერინგემი |
| 11 | კუნცი | 11 | ანდერტონი |

შეცვლა: შოლი — 10 ჰესლერი (76), ჰელმერი — 3 ბოდე (110), ფროინდი — 19 შტრუნცი (119)

გაფრთხილება: როიტერი, გესქოინი, მიოლერი

პენალტები: 1:0 შირერი, 1.1 ჰესლერი, 2:1 პლატი, 2:2 შტრუნცი, 3:2 პირსი, 3:3 როიტერი, 4:3 გესქოინი, 4:4 ციგე, 5:4 შერინგემი, 5:5 კუნცი, 5:5 საუთგეიტი (მეკარე), 5:6 მიოლერი.

მსაჯი: შ. პული (უნგრეთი)

26 ივნისი. „უემბლი"

ზურაბ მექველია,
დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

ინგლისელებს წინასწარ ვულოცავ, კლინსმანი არ ითამაშებს და ამით საქმე ერთიორად გაუიოლდებათო. ვინ ირწმუნებდა ბერტი ფოგთსის ამ სიტყვებს, თუ არა გულუბრყვილო?! როდის ყოფილა, გერმანელს ვინმესთვის დაეთმო?! მიზნის მიღწევა ამ ხალხმა საუკეთესოდ იცის. აი, ჩვენ კი არ ვიცით, რა ჰქნეს მათ ასეთი გუშინწინ, გრინვიჩის დროით სალამოს 5 საათზე „უემბლიზე", ვარჯიშზე დასასწრებად კაციშვილი რომ არ შეუშვეს.ეტყობა, ჩვეულებრივი, თამაშისწინა ვარჯიში კი არ ჩაატარეს,არამედ რაღაც საგანგებო მოამზადეს, რაღაც „საიდუმლო სერობა" ჰქონდათ.

საიდუმლო იმიტომაცაა საიდუმლო, რომ გვიან მჟღავნდება. გერმანია — ინგლისის ნახევარფინალური შეხვედრის პირველ წუთებში კი სტუმართა მისტიკა არსად ჩანდა, ყველაფერი გაცილებით მარტივად იყო: ინსის დარტყმა, საკმაოდ შორეული, ანდრეას კეპკემ კუთხურზე მოიგერია. ბურთი თავთეთრა და თავნება გესქოინმა ჩააწოდა, ახლო ძელთან ადამსი ახტა, აილტსს აჯობა და თავით უკან გადააგდო, სადაც შირერმა იმარჯვა, ბურთი მიწას დაჰკრა და ასე, მეკარისთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული გზით კარის ბადეში შეაგდო. „უემბლიზე" ემოციამ ამოხეთქა, ინგლისი ფინალისკენ უსწრაფესი ნაბიჯის გადადგმას ზეიმობდა. ეს მე-3 წუთზე იყო. აქედან მოყოლებული, თამაშმა კარგა ხანს ამგვარი ხასიათი მიიღო: ბრიტანელები ინიციატივას ფლობდნენ და შეტევათა მოწყობას ლამობდნენ, გერმანელებს კი, ცხადია, მათთვის თამაშის ჩაშლა და საკუთარი სცენარის გათამაშება ჰქონდათ დასახული მიზნად. რომ ვთქვათ, მათ ეს იოლად გამოუდიოდათო, ტყუილი იქნება. ისინი. მართალია, ყოველგვარ ზონას კარგად კეტავდნენ და ბურთისთვის ბრძოლაში თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ამიტომაც ზამერმა და მისმა მეგობრებმა მოედნის სიგანეზე ბურთის გაგორება, მრავალპასიანი წყნარი კომბინაციების გათამაშება მოინდომეს. ამით ბურთის „დაჭერას" აპირებდნენ, მაგრამ ეპიზოდურად თუ გამოუვიდათ. მოკლედ, დიდად ვერც ერთი აზვევდა თავს სასურველ ტაქტიკას მეორეს და ვერც მეორე პირველს. უნდა გენახათ, რას მუშაობდა გესქოინი, ლამის იყო, წინა მცველის პოზიციამდე ჩადიოდა და იქ ომობდა. მე-16 წუთისთვის გერმანელებმა კვლავ მოედნის სიგანეზე გაათამაშეს ბურთი, ოღონდ მეტოქის საჯარიმოდან არც ისე შორს. ამ კომბინაციას შედეგიც მოჰყვა. მის ბოლო ეტაპზე ბურთი კუნცმა მიიღო, გადააწოდა მიოლერს, რომელმაც ხელსაყრელ მდგომარეობაშერჩეულ კუნცს დაუბრუნა და ამანაც ანგარიში გაათანაბრა. ამ ეპიზოდის ცქერისას უნებურად გაგვახსენდა გერმანელთა მწვრთნელის მატჩამდელი სიტყვები, მიოლერს უნდა ავუხსნა, რომ წინა შეხვედრებთან შედარებით პარტნიორებისთვის თავის მეტად შეთავაზება და თან პასების უფრო ხშირად გადაწოდებაა საჭირო. ამას რომ ვეტყვი, ეჭვი არ მეპარება, შედეგს გამოიღებს. აი, ნახავთ, ინგლისთან სულ სხვა მიოლერი ითამაშებსო. მართალი ყოფილა პედაგოგი. ქართველებიც მართალნი ვყოფილვართ, რომ ვამბობდით, კარგ მთქმელს კარგი გამგონი სჭირდებაო.

ანგარიშის გაქვითვიდან კიდევ რამდენიმე წუთით შესძლეს კონტინენტელებმა ბურთის „დაჭერა", მერე კი თამაშმა ნირი ისევ იცვალა. ინგლისელებმა მეტად შეუტიეს. ანდერტონმა კუთხურიდან დაბალი ჩააწოდა, შერინგემმა ბრუნით დაარტყა, მაგრამ როიტერმა ფეხი ჩაუდგა და გააუვნებელჰყო. შემდეგ ანდერტონმა პლატთან „მოგაწოდე-მომაწოდე" გაითამაშა, ჩააწოდა, შირერმა კი თავით ოსტატურად და ლონივრად დაარტყა, მაგრამ ოდნავ უზუსტოდ.

მეორე ტაიმიც ინგლისელთა შემართებით დაიწყო. უფრო სწორად, ის, რომ „უემბლიზე", შინ თამაშობდნენ, მასპინძლები იყვნენ, ფეხბურთი შინ უნდა დაბრუნებულიყო და მრავალი, მრავალი სხვა, მათ უფრო შემტევი ფეხბურთის თამაშს ავალდებულებდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სხვა თამაშს ისინი ჩვეულნი არც არიან. ასე, ორმხრივი შეტევებით მოქმედებენ საკუთარ ჩემპიონატშიც და მის გარეთაც. ასეთი „გულწრფელი" ფეხბურთის გამო ხშირად წაუგიათ კიდეც, მაგრამ როცა მოუგიათ, ლალად და ლამაზად.

მაკმანამანი შეძვრა საჯარიმოში, ჩააწოდა, მაგრამ კეპკე იოლად შესწვდა ბურთს. შემდეგ ინსმა შორიდან სცადა ბედი — ააცილა. გავიდა საკმაო ხანი, ბურთს ძირითადად მასპინძლები ფლობდნენ და კვლავ გრძელდებოდა ერთმანეთისთვის თამაშის საკუთარი ვერსიის თავსმოხვევისთვის ბრძოლა. ასეთ დროს იმ გუნდისგან, ბურთს ნაკლებად რომ აკონტროლებს, მწვავე და სწრაფი კონტრგამოხდომაა ხოლმე მოსალოდნელი. იმ ეპიზოდში, აილტსმა საჯარიმოში, კუთხურის ხაზიდან პენალტის ნიშნულისკენ ჰელმერს რომ დაუგორა, ბაიერნელმა კი ცოტათი რომ აცილა, სწორედ ასე მოხდა.

ამას ისევ ინგლისელთა შეტევა შეენაცვლა. გესქოინი მარჯვნიდან საჯარიმოში შეიჭრა, კუთხურის ხაზამდე ჩავიდა, აქედან ჩააწოდა, მაგრამ მცველმა თავით განმუხტა მდგომარეობა.

70-ე წუთისთვის ტემპმა იმატა. ინგლისი კვლავ ყველაფერს ღონობდა გერმანული ჯებირის გასანგრევად: გესქოინმა ანდერტონთან „კედელი" გაითამაშა, საჯარიმოში სახიფათოდ შეიჭრა, მაგრამ ბოლოწამს ბურთს ფეხი გაუკრეს და კუთხურზე გადაუგდეს. აღსანიშნავია, რომ ამ კომბინაციას, ჩვენში „კედლად" რომაა (რუსული ვარიანტი) ცნობილი, ინგლისურენოვან პრესაში კი „ერთი-ორად" იხსენიებენ, ალბიონელები ხშირად და კარგად იყენებდნენ. და კიდევ, საგანგებო აღნიშვნის ღირსად დარენ ანდერტონი მიგვაჩნია. ის, შესაძლოა, ფინტებითა და ეფექტური პასებით იმდენად არ იქცევდა ყურადღებას, მაგრამ ვებერთელა და სასარგებლო სამუშაოს კი სწევდა. ამ ზემოხსენებულ „ერთი-ორებშიც" ხშირად მონაწილეობდა და იყო მომენტები, არ გაუმართლა, თორემ უნდა გაეტანა პოლ ინსზე, როგორც „სარბიელის" რჩეულზე ცალკე გეტყვით.

76-ე წუთზე, ბერტი ფოგთსმა მეჰმეტ შოლის ნაცვლად მოედანზე „ძველი გვარდიის" კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჩია და მარად ციბრუტივით მოტრიალე თომას ჰესლერი შეიყვანა. ალბათ ფსიქოლოგიური მომენტი. თუ იყო, თორემ ჰესლერს თამაშში ჩართვა ჯერ ხეირიანადაც ვერ მოესწრო, რომ გერმანელებმა რამდენიმე წუთით უპირატესობა იგდეს ხელთ და შეტევაზე გადავიდნენ. ამ მონაკვეთში საგანგებოდ მწვავე კი ვერაფერი მოახერხეს, მაგრამ თამაში აშკარად გარდატეხეს. ამას კი ინგლისელთა საჯარიმოში პირსის და მიოლერის წაკინკლავება მოჰყვა. რომლის გამოც უნგრელმა მსაჯმა შანდორ პულმა, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი რომ უმსაჯია, მიოლერი ყვითლითაც დასაჯა და სიტყვიერადაც დატუქსა. ეს იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამ ეპიზოდიდან ისევ ინგლისელებმა გადასძალეს „ბაგირი". როგორც ჩანს, ასეთი დონის შეხვედრებში ნებისმიერი ცვლილება თუ პაუზა ხასიათის გამოცვლას იწვევს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დღევანდელ ფეხბურთში მარტო კუნთის ძალა, პლასტიკა, ტექნიკა და ამგვარი „ფიზიკური" ელემენტები არ განსაზღვრავენ ყველაფერს. დღეს უმაღლეს რანგის მატჩებში ტაქტიკა, ტექნიკა და აზროვნება, საფეხბურთო განათლება და ფსიქოლოგია ისე არიან ჩაწნულ-გადახლართული, რომ რომელიღაც კომპონენტის იოტისოდენა ცვლილება საერთო სურათს დაღს ასვამს.

ისევ თამაშს დავუბრუნდეთ. გაზამ ანდერტონს საჯარიმოში კარგი პასი მიაწოდა, მაგრამ ინგლისელთა მეთერთმეტე ნომერმა სისწრაფეში ბურთის ხეირიანად დამორჩილება ვერ მოახერხა, პასის გადაწოდება სცადა და მომენტი ხელიდან გაუშვა. მთელს მოედანზე ომი გაჩაღდა. 89-ე წუთზე მიოლერმა მეტოქის შეტევა ჩაშრა, ჰესლერს მიაწოდა, მან დაუბრუნა, მიოლერმა საჯარიმოში პარტნიორისთვის ქუსლით დატოვება განიზრახა, მაგრამ ჩაუჭრეს. შემდეგ პლატმა დაარტყა ძლიერად, მაგრამ კუთხურზე მეტს ვერაფერს მიაღწია.

და დაიწყო დამატებითი დრო, რომელზეც ბერტი ფოგთსმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, ეს გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დამატებითი დრო იყო.

მართლაც, თუმც საკუთრივ ძირითადი დრო ცუდი სულაც არ იყო, მაგრამ ის ფეიერვერკი, რაც დამატებით 30 წუთში მოეწყო, დიდებული სანახვი გახლდათ. მე-3 წუთზევე შეეძლოთ ინგლისელებს ყველაფერი დაესრულებინათ და ფეხბურთის ისტორიაში პირველი „უეცარი მკვლელობის" ჩამდენნი გამხდარიყვნენ. მაკმანამანმა ანდერტონს მიაწოდა, ანდერტონმა დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და კეპკეს ხელებში მიუვიდა. რის ვიშვიში, რა განცდა და დაბნევა, გერმანელებმა ამას ხელად საკუთარი მომენტი მიაყოლეს. ჰელმერმა მარცხნიდან, მახვილი კუთხიდან დაარტყა, ბურთმა კარის გასწვრივ იფრინა, მაგრამ კუნცი რომც გაფრენილიყო, თავით მირტყმას მაინც ვერ მოასწრებდა, ოდნავ უხერხულ პოზაშიც იდგა. შემდეგ მიოლერმა ჩაიგდო ბურთი, საკმაო მანძილი გაირბინა, გაისროლა, მაგრამ მეკარემ კუთხურზე მოუგერია. მომდევნო ეპიზოდში კი შანდორ პულმა კუნცს კუთხურიდან თაურით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა, მანამდე მცველს ეჭიდავებოდიო.

თვალის დახამხამებაში ეს ეპიზოდი ყველას გადაავიწყდა, როდესაც ინგლისმა კიდევ ერთი სუნთქვისშემკვრელი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან: ანდერტონმა შირერს გადააწოდა ფრთიდან ფრთაზე, შირერმა საჯარიმოსკენ გააგდო, კეპკე ბურთს ასცდა, მაგრამ ასცდა გაზაც, რომელსაც ფეხი რომ წაეკრა, ცარიელ კარში შეაგდებდა. მალე იგივე განმეორდა.

ციგე-მიოლერი-ციგე, კინაღამ გოლით დამთავრდა. სიმენი უვარდებოდა ბოლოწამს ფეხებში, მაგრამ კრისტიანმა ფეხის გაკვრა მოასწრო, თუმცა გაცილებით უკეთ, ანუ გოლის გატანა შეიძლებოდა. შემდეგ კუთხურიდან მოწოდებულს ახალშესულმა მარკო ბოდემ შემოტრიალებით დაჰკრა ბურთს ინსი თავით დაუხვდა.

გესქოინი-შირერი-მაკმანამანი... დარტყმა უხეირო გამოდგა და მეკარემ ივარგა. სულ ბოლოს ანდერტონს აილტსმა საჯარიმოში დაასწრო. ბოლოს პულმაც დაუსტვინა და გუნდები პენალტების დასარტყმელად მიიხმო.

სტიუარტ პირსი: — გარეთ საუთგეიტი ახალგაზრდა კაცია. სამი კვირაა, რაც ერთად ვართ შეკრებაზე და კარგ ადამიანად გავიცანი. სამწუხაროა, რომ გადამწყვეტი პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ არა უშავს. მთავარია, ჩემსავით არ დაკომპლექსდეს ამის გამო.

ტერი ვენეიბლზი: — თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, ყოველმხრივ გვიჯობს საქმე პენალტებამდე არ მივიყვანოთ-მეთქი. მათ რაც შეეძლოთ, გააკეთეს, მეტს ველარაფერს მოვთხოვდი. მადლობას ვუძღვნი გულშემატკივრებს. ისინი მეტის ღირსნი იყვნენ, ჩვენ კი გული დავწყვიტეთ. თამაშზე კი იმის თქმა მინდა, რომ მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე პირველში. დამატებით დროში კი საუცხოო შანსი გვქონდა, მაგრამ...

ბერტი ფოგთსი: — გამარჯვება დავიმსახურეთ. ახლა ფინალისთვის მოვემზადებით. ტრავმებზე ჯერ არაფრის თქმა გვსურს, ჯერ ვზეიმობთ. აი, ყვითლები კი ცალკე საუბრის თემაა. რად აჩვენა მიოლერს და როიტერს მსაჯმა ყვითელი ბარათი, და რად ატოვებინებს ფინალს, ყოვლად გაუგებარია.

ბოლოს, დავძენთ, რომ პრეს-კონფერენციიდან ჟურნალისტებმა, ისევე, როგორც მოედნიდან ხალხმა, ინგლისელები ოვაციით გააცილა. ეს სასიამოვნო სანახავი იყო, თუმცა ვთვლით, რომ ზედიზედ ორი ეტაპის პენალტებით გავლა (ისევე, როგორც ფრანგებისთვის) ინგლისელთათვისაც არამი იქნებოდა.


ბერტი ფოგთსს ახლა ფინალიდა აქვს საზრუნავი


ხანამ ტრავმას მიიღებდა შტეფან ფროინდი არც შეტევას ერიდებოდა

## „სარბიელის" რჩეული

„მასტერკარდმა" მატჩის რჩეულად გერმანელი დიტერ აილტსი დაასახელა, ჩვენ კი თავს ნებას ვაძლევთ, მსოფლიოს ერთ-ერთ უგავლენიანეს ფირმას არ დავეთანხმოთ და „სარბიელის" რჩეულად სხვა შემოგთავაზოთ. ჩვენი გმირი დამარცხებული გუნდიდანაა — პოლ ინსი. ამ საყრდენმა ნახევარმცველმა საოცრად იშრომა. ეს გასაგებიცაა, განა ამ ამპლუის მოთამაშის უშუალო მოვალეობა არაა, დაცვის წინა ხაზიდან თავდასხმამდე ტრიალი, იქით ბურთის ართმევა, აქეთ კი „ყუმბარების" მსროლელთათვის მიტანა? ის ყველგან იყო, ნებისმიერ ეპიზოდში, სადაც გაიხედავდით, ყველგან მატჩის ერთადერთი მუქკანიანი ფეხბურთელი მოგხვდებოდათ თვალში. გაიხსენეთ, როგორ გახსნა ინგლისმა ანგარიში: ინსმა ყუმბარასავით გაისროლა, კეპკემ კუთხურზე მოიგერია და სწორედ ის კუთხური გახდა გოლის მომტანი. დღეს პოლ ინსი მილანის „ინტერის" მოთამაშეა და 21 ოქტომბერს 29 წლის გახდება.




გერმანელთა მწვრთნელის აზრით უნგრელი შანდორ პულის ზოგი გადაწყვეტილება საკამათო იყო

## გუშინ სელეშიც გავარდა

უიმბლდონის ტურნირი სამი დღის დაწყებულია, მაგრამ უკვე იმდენი სენსაციაა, ბარე სამ შეჯიბრსაც ეყოფოდა. თუ აქამდე უცნაური ამბები კაცთა შორის ხდებოდა, გუშინ ქალებმაც გამოიღეს ხელი: მეორე წრეში, მე-2 ნომრად განთესილმა ამერიკელმა მონიკა სელეშმა სამ ხელში წააგო სლოვაკ კატარეინა სტუდენიკოვასთან (5:7, 7:5, 4:6) და ახლა მხოლოდ მაყურებლობითღა თუ დაკმაყოფილდება.

## ჩეხეთი 0 (6)
## 0 (5) საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კოუბა | 1 | ლამა |
| 5 | კადლეცი | 20 | როში |
| 20 | ნოვოტნი | 12 | ლიზარაზუ |
| 4 | ნედვედი | 15 | ტურამი |
| 19 | რადა | 5 | ბლანი |
| 15 | ჰორნიაკი | 8 | დესაი |
| 6 | ნემეჩეკი | 6 | გერენი |
| 7 | ნემეცი | 14 | ლამუში |
| 17 | შმიცერი | 10 | ზიდანი |
| 8 | პობორსკი | 9 | ჯორკაეფი |
| 10 | დრულაკი | 11 | ლოკო |

შეცვლა: შმიცერი — 14 ბერგერი (46), ლამუში — 16 პედროსი (66), დრულაკი — 19 კოტულეკი (69), ტურამი — 2 ანგლომა (83), ნემეცი — 12 კუბიკი (83)
გაფრთხილება: ტურამი, როში, ნედვედი, ნემეჩეკი, კუბიკი
პენალტები: 0:1 ზიდანი, 1:1 კუბიკი, 1:2 ჯორკაეფი, 2:2 ნედვედი, 2:3 ლიზარაზუ, 3:3 ბერგერი, 3:4 გერენი, 4:4 პობორსკი 4:5 ბლანი, 5:5 რადა, 5:5 პედროსი (მეკარე), 6:5 კადლეცი
მსაჯი: ლ. მოტრემი (შოტლანდია)
26 ივნისი. „ოლდ ტრეფორდი"

# რა დროს ქორწილია?!

ზურაბ ფოცხვერია,
დავით კაკაბაძე
მანჩესტერიდან



დესაი-ნემეჩეკის უშელავათო დუელი ხშირად იმართებოდა

მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" ჩასულებს ფრანგთა და ჩეხთა ქომაგების დიდი არმია დაგვხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის ეროვნულ დროშას ერთნაირი (თეთრ-ლურჯ-წითელი) ფერები ამშვენებს, დასავლეთევროპელთა გამორჩევა ამ ზღვა ხალხში არანაირად გაგვჭირვებია. სულაც არ იყო აუცილებელი ჰერალდიკის ზედმიწევნით ცოდნა ან პიგმენტაციის მიხედვით გულშემატკივართა გამორჩევა. ფრანგთა დროშას კანტონას იმხელა პორტრეტი ამშვენებდა, ყოველივე ისედაც ნათელი იყო. იქნებ კიდეც გაიკვირვოთ, ეს გიჟმაჟი რაღა შუაშია, როცა ევროპის ჩემპიონატს მაყურებლადაც კი არ ესწრებაო. სწორედ რომ შუაშია, და უფრო მეტიც — თავში. კანტონიანი დროშებითა თუ ნიღბებით შეიარაღებული ფრანგები ნაკრების მთავარ მწვრთნელს ემე ჟაკეს სამფეროვანითა საუ-



ნანობს კი ჟაკე: კანტონა, ჟინოლა, პაპენი

კეთესო ფორვარდის ინგლისში არჩამოყვანას ვერ ჰპატიობდნენ. მართალიც იყვნენ. თუმცა, ეს ორი საათის მერეღა გაირკვა. ემე ჟაკეს მრავალეროვანი და მრავალფეროვანი ნაკრები ჩეხებს თამაშში არაფრით ჩამორჩენია, მაგრამ გოლის გამტანი რომ არ ჰყავდათ, ეს თავიდანვე ნათელი იყო. ან დაშავებულმა და ნაადრევად გამოკლებულმა დუგარიმ რა ხეირი მისცა ფრანგებს, გაკრეჭილი და ვითომდა გაუმჯობესებული ლოკოს იმედად ყოფნას რომ გაემართლებინა? და მაინც, ჟაკე რისი მწვრთნელი იქნებოდა, ნახევარფინალის წინ თავი არ აეტკივებინა და შემადგენლობა-განლაგებაში ბევრი რამ არ შეეცვალა-გადაეწყო. ერთი კი იყო: ფრანგების მწვრთნელს ბოლო მომენტამდე ვერ გადაეწყვიტა დესაის წინ წაწევა. არადა, სწორედ ამ ცვლილებამ მისი ნაკრები უფრო მობილური გახადა, ვიდრე წინა მატჩებში იყო. ლიბეროდ პსჟ-ს კაპიტანი ალენ როში გაამწესა, კაცზე ლორან ბლანს დაავალა თვალყურის დევნება. მარსელ დესაი კი თავის საკლუბო ადგილს დაუბრუნა და ამან, როგორც გითხარით, გაამართლა. მილანელს ნახევარდაცვაში მეტი სივრცე მიეცა ბურთის დასაუფლებლადაც და შეტევის წამოსაწყებადაც. დემამის დესაით შეცვლამ ჯორკაეფსა და ზიდანსაც საქმე მოაკლო და თავდაპირველად ისინი შეტევაზე უფრო დაიგეშნენ. ამ მატჩში ერთი ცვლილებაც იყო — დისკვალიფიცირებული კარემბეუ საბრი ლამუშმა შეცვალა, მაგრამ ვერ გაამართლა. კარემბეუ აშკარად დიდი დანაკლისი იყო და ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ფრანგები ფლანგური შეტევებით ვერ ხეირობდნენ. მარცხენა ნახევარმცველი გერენიც კი ცენტრიდან უტევდა. პრობლემები, მეტი თუ არა, ნაკლები არც ჩეხებს ჰქონდათ. ორ-ორი გაფრთხილების გამო თამაშს სუხოპარეკი, ბეიბლი, ლატალი და კუკა სტოვებდნენ. ეს კი იმაზე დიდი დანაკლისი გახლდათ ჩეხებისთვის, ვიდრე მათი მეტოქისთვის დუგარი და კარემბეუ. მატჩის წინ დუშან უჰრინიც დიდად გარჯილა, 18 კაცში ამ ოთხეულის ღირსეული შემცვლელები რომ მოუნახავს არადა, ხუმრობა ხომ არ იყო დაცვაში მოთამაშე სამი წამყვანი ფეხბურთელის გამოკლება. მარცხენა ფლანგზე ფრიდეკის ნაცვლად უჰრინმა ნოვოტნი შეუშვა, მარჯვენა ფრთის დაცვა ნახევარმცველ ნედვედს მიანდო, ცენტრში კი კადლეცის წინ ჰორნიაკი და რადა დააყენა და ამ უკანასკნელმა ერთობ გაუმართლა. ურიგოდ არც ნედვედს უთამაშია, მაგრამ დაცვას დიდხანს აღარ შერჩენია, დრულაკის გამოცვლის შემდეგ პედროსი კოტულეკს დაუტოვა და თავად კი თავდასხმაში გაიწია. დრულაკიც სიახლე იყო ჩეხთა შემადგენლობაში. ამ ასაკოვანმა თავდამსხმელმა ბევრი კი იცოდვილა, მაგრამ ლამას ვერაფრით აჯობა. უკვე ვთქვით, რომ ჩეხებმა დაცვა საიმედოდ გაამაგრეს, ფრანგები კი პირიქით, იმდენჯერ შეცდნენ, ფინალში გასასვლელად მებრძოლ გუნდს ნამდვილად არ ეკადრებოდა. პობორსკიმ ლიზარაზუს დაასხა თავბრუ, შმიცერმა ტურამს, თუმცა საბოლოოდ თავის გატეხვას



უჰრინი უკვე ტრიუმფატორია

გამორჩა. სასიმოდ გამზადებული შმიცერი, რუსებს რომ გოლი გაუტანა, 41-ე წუთზე თავით შეეტაკა ფრანგთა მარცხენა მცველს და თამაში ველარ გააგრძელა. უჰრინმა მის ნაცვლად ბერგერის შეშვება იფიქრა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ტაიმი 10 კაცით დაამთავრა. თამაშის ამ ნახევარში დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა, მცველები კი სცოდავდნენ (ფრანგები უფრო ხშირად), მაგრამ არც თავდამსხმელები იყვნენ დიდი ხვითოები და დარტყმებსა თუ ჩაწოდებებს მეკარეთა იოლ საკბილოდ ხდიდნენ. ამის დასტური საკმარისად იყო პირველი 20 წუთის შემდეგ, როცა გუნდებმა ერთმანეთი კარგად დაზვერეს თავდაპირველად ჯორკაეფის პასი ლოკომ სასურველად ვერ დააბოლოვა, მერე, 23-ე წუთზე, დრულაკმა შორეული დარტყმა ააცილა. იმავეწამს ლოკომ, ზიდანის პასით საჯარიმოში შეჭრილმა, ჯორკაეფს ხურდაც არ დაუბრუნა და შეტევაც ჩაშალა. 26-ე წუთზე შორიდან ლამუშმაც ვერ გაისწორა სამიზნე. 10 წუთში კი შმიცერმა ააცილა ლამას კარს. 37-ეზე დრულაკს უგრძესი და უზუსტესი პასი მისცა პობორსკიმ, მაგრამ თავდამსხმელი უხეირო შეტევისთვის მცველ ლორან ბლანთან დაჯარიმდა. ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე დესაიმაც სცადა დარტყმა, მაგრამ ვერც მისმა გარჯამ გამოიღო შედეგი. ბოლოს კი კოუბა ჩართეს ძალუმად თამაშში. ეს ერთხელ კი შეცდა კუთხურიდან გამოსვლაზე და კადლეცმა გადაარჩინა, მაგრამ მეორედ ლიზარაზუს ჩაწოდებული მუშტით მოიგერია და შესვენებაზეც მშრალად წავიდა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ თავგატეხილი შმიცერი თამაშს ველარ გააგრძელებდა. მის ნაცვლად უჰრინმა ბოლოსდაბოლოს გამოიყვანა ის მოთამაშე, ვინაც ბევრი მომენტიდან გოლად ერთიც ვერ აქცია, მაგრამ, სამაგიეროდ, გამუდმებული შეტევებით ფრანგებს ბევრი საფიქრალი გაუჩინა. ეს ფეხბურთელი პატრიკ ბერგერი გახლდათ. თუმცა, სანამ ბერგერი თამაშს თავის ხელს დაატყობდა, მანამდე დრულაკს შეეძლო გოლის გატანა: ნედვედმა დაცვაში იმარჯვა, გერენს ბურთი აართვა, შეტევა პობორსკიმ გააგრძელა და 34 წლის თავდამსხმელს ისეთი პასი მისცა, რომშიც თამაშის მიღმა დატოვა და ბლანიც, მაგრამ რად გინდა. დრულაკმა ვერც ამჯერად აჯობა ბერნარ ლამას. 2 წუთში ფრანგებმაც სახიფათოდ შეუტიეს, უფრო სწორად კი, კუთხური გაითამაშეს. ეს კი თითქმის იგივეა, რაც შეტევა, თუ კუთხურს ან ჯარიმას ჯორკაეფი აწოდებს. საჭიროა მხოლოდ თავის ან ფეხის დახვედრება და ნახევარი საქმე მოთავებული იქნება, მაგრამ, აბა, რა უნდა ექნა მარტო ჯორკაეფს, როცა დამგვირგვინებელი თანაგუნდელთაგანი ერთიც ვერ იყო. თავად განსაჯეთ: 55-ე წუთზე მოწოდებულ კუთხურს ვერც დესაიმ მიაწვდინა თავი და გასულ სეზონში საფრანგეთის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა ზინედინ ზიდანმა ხომ ტრიბუნაზე ლამის გულშემატკივარი შეიწირა. უფრო ძლიერად რომ დაერტყა, იოლი შესაძლებელი იყო, ტვინიც შეერყია კარს უკან მჯდომი ქომაგისათვის, ისე კი, ზიდანმა თავისი ტლანქი და გაუაზრებელი თამაშით ფრანგ გულშემატკივართა არმიას ნერვები საკმაოდ უშალა. ნამდვილად სხვა საქმეა ჯორკაეფი. აფსუსი კია, იგი სახლში მიდიოდეს, მაგრამ რას იზამ, როცა ბედი კი არა, თანაგუნდელიც კი არ არის შენსკენ. არადა, 61-ე წუთზე ფრანგების უდავო ლიდერსა და მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ ვარსკვლავს შეეძლო თავისი გუნდისთვის საქმე „გაეჩარხა", მაგრამ ამაში ხარიხამ შეუშალა ხელი — ჩეხების კარი გოლს გადარჩა. ეს ეპიზოდი ჩათავდა თუ არა, ემე ჟაკემ იგრძნო, ლამუში ადგილს ტყუილად აცლენსო და მოედანზე პედროსი შეუშვა. ამას ერთი უმნიშვნელო გადაადგილებაც მოჰყვა: გერენმა ლამუშის ფლანგზე გადაინაცვლა და პედროსმაც მარცხნიდან შეუტია. მაგრამ სანამ ნანტელი გამოიჩენდა თავს, ჩეხთაგან პობორსკი ბრწყინავდა და კეთილსინდისიერი ფოსტალიონივით ურიგებდა დროულ პასებს თანაგუნდელებს. მისი „გზავნილებების" ადრესატი მეტადრე დრულაკი გახლდათ, მაგრამ ლამა ყოველთვის ადგილზე იყო და სულაც არ აპირებდა გოლის გაშვებას. ასევე ირჯებოდა პეტრ კოუბაც, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგები დამშვიდებას არ აცლიდნენ. 63-ე წუთზე ზიდანმა ამ თამაშში თავისი ყველაზე გონივრული პასი გააკეთა და ჰაერში მფრენმა ჯორკაეფმაც მოხრილი ფეხით მშვენივრად დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა ხარიხას. ერთ წუთში პედროსმა დაიწყო შეტევათა ის წყება, რომელიც დრულაკის გამოცვლის შემდეგ ჩეხთათვის ლამის საბედისწერო გამოდგა. ალბათ გაიკვირვებთ, პედროსთან დრულაკს რა ხელი ჰქონდაო, მაგრამ საქმე ისაა, რომ შეცვლაზე შემოსულმა კოტულეკმა, როგორც აქამდეც მოგახსენეთ, ნედვედის ადგილი დაიკავა (ეს უკანასკნელი თავდასხმაში გადავიდა) და პირდაპირ რეინალდთან დაიჭირა საქმე. ამან კი სიგმას მცველსაც თავბრუ დაახვია და არც ჰორნიაკს აყარა ნაკლები დღე მან ჯერ ზიდანს მიწოდა კარგი პასი, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ვერ ივარგა, მერე კი თავის თავზე აიღო თამაში და ერთობაც გამოაცოცხლა. მართალი რომ ვთქვათ, ამასობაში არც ჩეხები იყვნენ გულხელდაკრეფილნი და მწვავე კონტრშეტევებს მისძალებოდნენ. ამათში პედროსის როლს ბერგერი ასრულებდა, რომელიც ხან ნედვედს ამარაგებდა ჩაწოდებებით, ხანაც თავადვე უტევდა, მაგრამ ვერც ის ხეირობდა, მარილი არ ჰყოფნიდა კარგად წამოწყებულ საქმის დასაბოლოვებლად. მის მიერ ორგანიზებულ იერიშთა შორის ერთხელ მეტოქეს ჰქონდა ანგარიშის გახსნის საუკეთესო შანსი. ჩეხებსა და ფრანგებს შორის პირველთა საჯარიმოში ბურთმა პატრონი დაჰკარგა. დიდი არეულობა შეიქნა და, იმ მომენტში რომ ბურთისთვის სწორი მიმართულების მიმცემი გამოჩენილიყო, ვეჭვობთ, თამაშს დამატებით დრო დასჭირვებოდა. არადა, რაკი ეს არ მოხდა, ჩეხებმა თამაშის ტემპი შეანელეს, დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართეს და თანაც მოულოდნელად ოთხჯერაც შეუტიეს. ამ იერიშთა ხელმძღვანელი კვლავდაკვლავაც ბერგერი იყო. ეს ემე ჟაკემაც მშვენივრად შენიშნა და მისი მეურვე ტურამის ნაცვლად ჟოსელინ ანგლომა გამოიყვანა. მთელი ათი წუთის მანძილზე ჩეხები დომინირებდნენ, თამაშის ტემპსაც ისინი კარნახობდნენ და შინაარსსაც. მხოლოდ ერთხელ, ბოლო წუთზე ჯორკაეფმა დაარტყა, მაგრამ კოუბა გუშინ თამაშში ბურთის გაშვებას სულაც არ აპირებდა. ეს დამატებით დროშიც კარგად გამოჩნდა, რადგან დასაწყისში ფრანგებმა მასიურებულად შეუტიეს და 5 წუთს სულ შიშში ამყოფეს მეტოქე 93-ე წუთზე ანგლომა მცველებს შორის დატრიალდა, ლოკოს მიაწოდა, მანაც მშრალზე დასცა ნოვოტნი, მაგრამ ჩაწოდებული თავით რადამ მოიგერია. წუთის შემდეგ ზიდანმა დაარტყა კარში, მაგრამ, აკი გითხარით, კოუბა წიწილებს გადავარებული კრუხივით იდგა. მალე ჩეხებმაც დაიწყეს შეტევაზე ფიქრი და ხორციც მალე შეასხეს ჩანაფიქრს. ნედვედმა კუბიკს დაუტოვა, მისი დარტყმული კი ლამამ აიღო. აი, კადლეცის მიერ დარტყმულ ჯარიმას კი კიკინიანმა ოდენ თვალი გააყოლა. ბეწვზე გადარჩა, კადლეცის დარტყმული ოდნავ ასცდა. პირველი დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე პობორსკიმ ანგლომა და ლიზარაზუ გააშეშა, მერე დესაი და ბლანი დატოვა სახტად და ნედვედს ისეთი პასი შეაყოლა, ლამას რომ არ ემარჯვა, „უეცარი სიკვდილი" გარანტირებული იყო. ძალთა თანაფარდობა არც მეორე ნახევარში დარღვეულა, ოღონდ, ეგ იყო, თავიდან ამჯერად ჩეხებმა შეუტიეს, ბოლო ამოსუნთქვა კი ფრანგებისა იყო. ლოკომ, ბლანმა და ჯორკაეფმა ვერც ამჯერად გაიტანეს და არც პობორსკის ნახევარმოედნიან დრიბლინგს ეწერა გოლით დასრულება. თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე იყო საიმისო საბაბი, რომ ფრანგებს პენალტი ვადაზე ადრე დაერტყათ, მაგრამ შოტლანდიელმა არბიტრმა ლესლი მოტრემმა ჯორკაეფის დარტყმისა და რადას ხელზე მოხვედრილი ბურთის შემდეგ თამაშის წესის დარღვევა არ დააფიქსირა და საქმეც მატჩის შემდგომ პენალტებზე მიდგა. არადა, ისეთ შემთხვევაში, როცა ბურთი კარში მიდის, ასეთი ხელიც უეჭველი პენალტია, მაგრამ ამ მსაჯებისას რას გაიგებ. ერთის ნაცვლად 10 და კიდევ ორი პენალტის ნახვა, ვის უხარია, მაგრამ ჩეხთა გამარჯვება ლოგიკური იყო და მოტრემმა ამას ხელი არ შეუშალა. პენალტები ისე უშელავათოდ დაარტყეს, „მეორე წრის" დაწყებაც კი გახდა საჭირო. მხოლოდ ორმა არ დაარტყა კუთხურში, ბერგერმა და პედროსმა და ამ უკანასკნელს ეს ძვირად დაუჯდა. კოუბამ, რომელსაც ბლანის დარტყმა ხელებში გაუძვრა, პედროსისა ფეხით მოიგერია და კადლეცმაც არ უმტყუნა ჩეხებს. ამათ დაამტკიცეს, რომ არც იტალია გაუშვიათ სახლში ტყუილად და არც ქვეჯგუფიდან გასულან შემთხვევით. ვინძლო, 20 წლის წინანდელი გამარჯვების გამეორებაც შეძლონ. თუმცა, მანამდე სამი დღეა. ერთი რამ აქედანვე ცხადია: შმიცერისა და მისი საცოლის პავლინას ქორწილი გადაიდო. რა საათზე იქნება შმიცერი მისი ბედნიერების დღეს, ამას შაბათს შევიტყობთ. ემე ჟაკეს კი ლამლამობით ალბათ კანტონას ნიღბიანი გულშემატკივრები მოელანდება... თუმცა, რა — კაცი, რომელიც 98 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, კანტონას იმედად ალბათ ვერც იქნებოდა...

## „სარბიელის" რჩეული

ვინა თქვა, ალბიონზე ნისლი ჩა[illegible]წოლილა და ვარსკვლავები ბრწყინ[illegible]. მაშ, ვინაა კარელ პობორსკი, თუ არა ვარსკვლავი. პრაღის „სლავიას" აქამდე უცნობმა ამ მოთამაშემ ჯერ ხომ იტალია დააშამათა! ვარსკვლავად აღიარებული პაოლო მალდინის ჯობნა სამომავლოდ არ გადაუდია, მეოთხედფინალში გასულმა კი პორტუგალიელთა დიდი ხნის შეთამაშებულ გუნდზე შეთხზული მითებიც გააცუნა. პობორსკის არც ფრანგებთან დაუყრია ფარ-ხმალი. იბრძოლა, ითამაშა, შიგადაშიგ კიდეც ილაღა და ფინალში გავიდა. ნათამაშევ 5 მატჩში პობორსკის ყველგან ნახავდით. ნახევარდაცვის ცენტრში, უფრო მარჯვენა ფლანგზე, თავდასხმაში. იგი აკეთებდა ყველაფერს, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა და, შეიძლება ითქვას, თამაშსაც აკეთებდა. უდაოა, პობორსკი თანამედროვეობის საუკეთესო ჩეხი ფეხბურთელია და იმის თქმაც თამამად შეიძლება უკვე, რომ ევროპელ ტიტანთა თანავარსკვლავედშიც შევიდა. უსწრაფესი დრიბლინგი, გამოზომილი გრძელი თუ მოკლე პასები, მოედნის უბადლო ხედვა, კარგი დარტყმა, უზადო ტექნიკა და მტკიცე ხასიათი. სხვა რაღაა საჭირო ამა ქვეყნის ძლიერთა შორის მოსახვედრად? ცხადია, ცოტა იღბალიც, ბედი, რომელიც ჯერჯერობით პობორსკის მართლაც სწყალობს. რით არ არის იგი ამ ჩემპიონატის ვარსკვლავი. განა მან არ გაფანტა ნისლი? ყველაზე საამო კი ის ფაქტია, რომ პობორსკი „ახალი ხილია", ალმოჩნდა. განა ამაზე უკეთესი შეიძლება იყოს რამე? ახალი ხომ ყველაფერი კარგი და საინტერესოა.



## პრეს-კონფერენცია

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა დუშან უჰრინმა განაცხადა: „მატჩი სანახაობრივად მიმზიდველი ვერ გამოდგა. ამის მიზეზი გუნდების ტაქტიკური სქემაა. ძალიან ვამაყობ, რომ ასეთი გუნდის მწვრთნელი ვარ: მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი გვაკლდა, ფინალში გასვლა მაინც მოვახერხეთ! ნახევარფინალში ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არ გაგვეშვა პირველი გოლი და ჩვენი სტრატეგიაც ამან განაპირობა.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ემე ჟაკე: „ისეთ ენთუზიაზმს, როგორიც ჩეხებმა ჩვენთან თამაშში გამოიჩინეს, ბევრი რამ შეუძლია. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ამან ფინალშიც შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი".

პედროსი: ძალიან გაწბილებული ვარ. გადავწყვიტე შუაში დამერტყა და...

კადლეცი: ჩვენ ჯერ არ გაგვიცნობიერებია, რას მივაღწიეთ. ალბათ ხვალ დაზეგ მივხვდებით, რა ბედნიერები ვართ. პენალტის დარტყმამდე ვღელავდი, რადგან დაახლოებით 4 წელია, 11-მეტრიანი არ შემისრულებია. ფინალურ მატჩში „უემბლიზე" ნებისმიერ მეტოქესთან შანსი 50-50 გვექნება, ისე, ამ ტურნირში გერმანელებს უკვე ვეთამაშეთ და უმჯობესი იქნება, ამჯერად ინგლისელებს შევხვდეთ.

ბერგერი: ძალიან თანაბარი თამაში იყო. გუშინ სიცხე მქონდა და თავს არც დღეს ვგრძნობდი იდეალურად. დამატებით დროში ქვეცნობიერად უკვე პენალტების სერიაზე ვფიქრობდი.

კოუბა: „პენალტების სერიისთვის წინასწარ მოვემზადეთ, კარგადაც შევისწავლეთ საფრანგეთ-ჰოლანდიის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. სამჯერ თითქმის შევაწყდი ფრანგების დარტყმულ ბურთს და საბოლოოდ პედროსის პენალტი მოვიგერიე კიდეც. ფინალში ვისურვებდი მასპინძლებთან, ინგლისელებთან შეხვედრას თუ გერმანელებთან მოგვიწევს თამაში, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. მათთან ჩვენ რევანში გვაქვს ასაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] „საბჭოთებში“ [illegible] ახლა შემდეგი [illegible] გთავაზობთ

**იარო — კოლხეთი**
**6 ივლისი. იაკობსტადი. „კესკუსკენტა“**

**ფკ იარო ის, პიეტარსაარი**
დაარსდა: 1965 წელს
პრეზიდენტი: იან-ერიკ ჰოლმბერგი
მწვრთნელი: ანტი მუურინენი
სტადიონი: „კესკუსკენტა“ (5000)

# «იარო» იარის ქვეყნიდან

ალბათ ბევრი ვერც იტყვის, სად უნდა „გადაჰყროდა“ ფინური ფეხბურთი საქართველოს. არადა, იყო ასე: 1968 წლის ნოემბერში თბილისს ფინეთის ახალგაზრდული ნაკრებები ეწვია და საბჭოელ თანატოლებთან ამხანაგური მატჩი გამართა. ეს 11 ნოემბერს იყო, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ფინეთისას 5:0 მოუგო. მანამდე კი ფინელებს პირველი მატჩი გორში უთამაშიათ და აქაც დამარცხებულან, ოღონდ, ნაკლებსამარცხვინოდ — 1:3. ამ მოსაწყენ ისტორიას საქართველოში არც არავინ გაიხსენებდა, ფოთის „კოლხეთი“ ინტერტოტოს თასზე რომ არ გასულიყო და იქ ჯგუფში მეტოქედ ფინური გუნდი არ დახვედროდა. თავად განსაჯეთ, მას შემდეგ თითქმის 28 წელი გავიდა, ეს კი, დაგვეთანხმებით, დიდი დროა. მართალია, ფოთიდან ფინეთამდე უფრო ახლოა, ვიდრე თბილისიდან თუ გორიდან, მაგრამ მთლად ყურის ძირში არც იქიდანაა. „კოლხეთს“ დამღლელი მგზავრობა მოუწევს, რადგან მისი მეტოქე გუნდი იაკობსტადიდანაა. ეს ქალაქი კი ჰელსინკიდან კარგა დიდი მანძილითაა დაშორებული, უახლოესი აეროპორტიანი ქალაქიდან, ტამპერედან კი 300 კილომეტრშია. იაკობსტადი ბოტნიის ყურის სანაპიროზე მდებარეობს და ფინეთის დასავლეთ ნაწილიდან პირდაპირ შვედეთს გაჰყურებს, თანაც იმ ნაწილშია, საიდანაც სკანდინავიის გაფინული ნაწილი იწყება. ასე რომ, გასაკვირი არცაა, რომ ამ ქალაქში ფეხბურთის მიმართ ინტერესი იმაზე ნაკლებია, ვიდრე საერთოდ სუომის ქვეყანაში. იმაზე ისიც მეტყველებს, რომ მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა, რომელიც 91 წელს აღინიშნა, ჯამში სულ 35 569 იყო. ეს კი საშუალოდ 2 092 კაცია ერთ თამაშზე. კონკრეტულ მატჩზეც კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი მაყურებელი სწორედ ამ წელიწადს მისულა. მათაც კი ბოლომდე ვერ შეავსეს „კესკუსკენტას“ სტადიონი, რადგან მხოლოდ 3 892 ქომაგი მივიდა იმ დღეს ჰაკ-ის წინააღმდეგ მოთამაშე „იაროსთვის“ მხარდასაჭერად. ჩვენ კი გვიკვირს, მაგრამ მათთვის ეს საუკეთესო მაჩვენებელია და ეს განსაკუთრებული ინტერესი გუნდის აღმასვლით იყო განპირობებული, იმხანად გუნდში თავი მოეყარათ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებმაც კლუბი მანამდე არნახულ IV ადგილზე გაიყვანეს. დაცვას პოლონელი კრიშტოფ გავარა ხელმძღვანელობდა, ნახევარდაცვას ახალშეძენილი რუსი ალექსეი ერიომენკო, თავდასხმაში კი იარი ვანჰალა ვარგოლდა, რომელიც 19 გატანილი გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამით ვანჰალამ ერთ სეზონში გატანილი ბურთების საკლუბო რეკორდიც დაამყარა. ამავე წელიწადს „იარომ“ თავისთვის სარეკორდო ანგარიშით 5:0 მოუგო „რიეპას“. ასეთი უეცარი აღმასვლა მით უფრო გასაკვირია, რომ წინა სეზონში „იაროს“ II დივიზიონში გავარდნა ემუქრებოდა. მან ჩემპიონატში ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა და II დივიზიონში II ადგილზე გასულ კოკალას „პალლოვეიკოტთან“ გადასასვლელ მატჩში 5:2 რომ არ მოეგო, იაკობსტადში სამთო-სათხილამურო სპორტს კონკურენტი არ ეყოლებოდა. მაგრამ, ეტყობა, „იაროს“ პრეზიდენტს იან-ერიკ ლიდჰოლმს ბავშობიდანვე თხილამურებზე მეტად ბურთი ჰყვარებია. ამიტომაც იყო, 92 წლის სეზონში გუნდს ინგლისელი მცველი დევიდ ელიოტიც რომ [illegible] და მხოლოდ ერთი ადგილით ჩამოქვეითდა — ხუთეულში მოხვდა. იმ წელს „იარომ“ თასზეც საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა და ფინალში „მიუკასთან“ დამარცხდა, გუნდის ბომბარდირი 12 გოლის გამტანი პოლ ლიდჰოლმი გახდა, ნახევარმცველმა კიმ სუომინენმა კი ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებაც დაიმსახურა, და ქვეყნის ეროვნულ გუნდში ცხრაჯერ ითამაშა. 93 წელს „იარო“ გათამაშების ცხრილის ფსკერზე დაეშვა და მე-11 ადგილზე გასულმა სამ თანაჯგუფელთან და 4 მეორედივიზიონელთან ერთად გადასასვლელ ტურნირში ითამაშა, სადაც II ადგილზე გასვლით უმაღლესთა შორის დარჩენის უფლება მოიპოვა. ასეთი წარუმატებლობა, თითქოსდა გასაკვირიც კი იყო, რადგან კლუბმა რუსი მეკარე პრუდნიკოვი და თავდამსხმელი კოროვბოვი შეიძინა, მაგრამ, სამაგიეროდ [illegible] TPV-მ გავარა გადაიბირა, ახალწვეულებმა კი ვერ გაამართლეს და სეზონის ბოლომდე დასათხოვნიც გახდნენ. კიდევ კარგი, იმ წელიწადს პირველდივიზიონელი გუნდების რაოდენობა 14-მდე გაიზარდა, თორემ „იაროს“ ვერაფერი უშველიდა. მომდევნო სეზონში კლუბმა კვლავაც გაძლიერება სცადა და ბრაზილიელი კარლოს ენრიკე და ლეანდრო შეიძინა, მაგრამ ამაოდ, გუნდი მხოლოდ VII ადგილზე გავიდა. ისევე, როგორც წინა სეზონებში, ამჯერადაც ერიომენკო გახლდათ გუნდის წამყვანი მოთამაშე. სწორედ მან და ფორვარდმა ინგმა გაიტანეს 7-7 გოლი და გუნდი წინაწლისმაგვარ გაწამაწიას გადაარჩინეს. ფინეთში რუსთა მოზღვავება, აბა, რა გასაკვირია, მაგრამ გზააბნეულ ბრაზილიელთა სიმრავლე კი ნამდვილად განსაცვიფრებელია. ითქვა მისახვედრია, რომ ფინეთის I დივიზიონის სხვადასხვა გუნდებში მოთამაშე 8 ბრაზილიელი ერთად ალბათ ვერ აჯობებს რომარიოს ან ბებეტოს, მაგრამ რაკი ამათი შეძენის საშუალება ერთ-ერთი საშუალო კლუბ „იაროსაც“ ჰქონია, ეს ფეხბურთის მიმართ ფინელთა გაძლიერებულ ინტერესზე მეტყველებს. ფეხბურთზე კი ფინელებს გული იმან მოუბრუნათ, ყველა ქართველმა გულშემატკივარმა კარგად რომ იცის — ააქხელმა იარი ლიტმანენმა.


როსტოვის სკა-ს ყოფილი მოთამაშე ალექსეი ერიომენკო

| | დაბადების თარიღი | ს | წ | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|
| **მეკარე** | | | | | |
| ვეზა ჰოლი | 28.01.63 | 189 | 87 | 69 | - |
| **მცველები** | | | | | |
| კარი კორკეა-აჰო | 28.02.63 | 185 | 81 | 157 | 5 |
| ტიმო კივილომპოლო | 12.10.65 | 189 | 82 | 103 | 11 |
| დევიდ ელიოტი | 10.03.63 | 187 | 80 | 82 | 10 |
| ტერო სუომინენი | 01.04.71 | 177 | 74 | 62 | 3 |
| **ნახევარმცველები** | | | | | |
| მარკო ხორპისტო | 12.08.70 | 177 | 70 | 98 | 5 |
| ალექსეი ერიომენკო | 17.01.64 | 179 | 73 | 85 | 14 |
| არტო ჰალონენი | 13.06.64 | 189 | 82 | 83 | 7 |
| ნიკლას ვიხტკოვი | 24.02.69 | 178 | 78 | 19 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | | |
| ვეზა ტაურიაინენი | 16.12.67 | 184 | 78 | 169 | 49 |
| თომას ჰონგელი | 12.05.71 | 185 | 82 | 34 | 5 |

# ძალიან გვიყვარს გოგონები

25 ივნისს „ცხინვალთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (3:1) „მერანი-91“-მა წერტილი დაუსვა II ჯგუფში ასპარეზობას და I ჯგუფის მკვიდრი გახდა. „მრეტების“ შემდეგ „მერანი-91“ მეორე თბილისური გუნდია, რომელიც I ჯგუფში გადმოვიდა. გუნდის წარმატება საფუძვლიანად გათვლილი პროგრამის შედეგია. ყველაფერი კი 1991 წელს დაიწყო, როდესაც გუნდის პრეზიდენტი თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მაშინდელი უფროსი ნუგზარ ნავაძე გახდა. პრეზიდენტად გახდომის დღიდანვე ნავაძემ I ჯგუფში მოხვედრა დაისახა მიზნად.

„ჩვენ ამაზე მუდამ ვფიქრობდით, მაგრამ მიზნის მისაღწევად გუნდს მყარი საფუძველი სჭირდებოდა. საბედნიეროდ, „მერანს“ გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმო ამოუდგა მხარში. მინდა ყველ მათგანს დიდი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის. შემდეგ პარლამენტის წევრად ამირჩიეს და „თბილტრანსის“ თავმჯდომარე ზურაბ ბაბუნაშვილი გახდა. მან თავისი მოადგილეებისა და თანამშრომლების მხარდაჭერით გააგრძელა ის საქმე, რომელსაც მის მოსვლამდე ჩაეყარა საფუძველი. ამათ გარდა ჩვენ არასახელმწიფო სტრუქტურებმაც გაგვიწიეს შემწეობა: ფირმა „თერგმა“, „კოლხამ“, „თეთრმა ქალაქმა“. მათი დახმარების გარეშე მიზანს ვერ მივაღწევდით. ერთი სიტყვით, როგორც ევროპაშია მიღებული, არა ერთი კაცის, არამედ რამდენიმე ფირმისა და გაერთიანების შემწეობით არსებობს. ფირმები, რომლებიც „თბილტრანსთან“ თანამშრომლობენ, კონტრაქტის გაფორმებისას ერთ-ერთ პუნქტად გუნდის დახმარებასაც ივალდებულებენ. ამის წყალობით ერთწლიანი გუნდის შექმნის საფრთხე ავიცილეთ და მყარი ბაზა შევიქმენით. ერთწლიანი გუნდი-მეთქი, რომ ვამბობ, „ფრენია“ ფეხბურთელებსაც ვგულისხმობ, ასეთები ჩვენ არ გვჭირდება. ფეხბურთელები უკვე წლობით ირიცხებიან გუნდში, ასე რომ, სტაბილური, შეთამაშებული შემადგენლობა ჩამოვაყალიბეთ. წარმატებასთან ერთად თანდათან ტრადიციებიც ყალიბდება და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის.

### ვართ თუ არა მზად საპირველჯგუფოდ?

ახლანდელი შემადგენლობით თავს კი გავიტანთ, მაგრამ გაძლიერება აუცილებლად გვესაჭიროება. საერთოდ, გუნდში ცვლილებები მოსალოდნელია. პრეზიდენტიდან რიგით წევრამდე ყველას სურს გუნდი გაძლიერდეს. ჯერ აკლიმატიზაციას გავივლით I ჯგუფში, ხოლო ერთ-ორ წელიწადში ათეულში მოხვედრას კი არა, უფრო სერიოზულ მიზნებსაც დავისახავთ. სატრანსპორტო გაერთიანების თავმჯდომარეობისას ჩემი პრეზიდენტობა გამართლებული იყო. მაგრამ ახლა დეპუტატი ვარ, საქმეები მომრავლდა და, არ არის გამორიცხული, გუნდს სხვა პრეზიდენტი მოევლინოს. თუმცა პრეზიდენტის შეცვლა გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე არ იმოქმედებს — ტრანსპორტელები ფეხბურთს არ ივიწყებენ. წელსაც ავღნიშნე, „მერანი-91“ რამდენიმე ფირმისა და გაერთიანების ერთობლივი ძალებით იქმნებოდა და ვერ შევურიგდებით, ასე ნალოლიავები საქმე რომ ჩაგვეშალოს. პირიქით, გუნდის მომავალზე ვფიქრობთ და გვსურს, ქართულ ფეხბურთში ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ.

### ცვლილებებზე

ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი — სეზონი ახლახან დასრულდა. რამდენიმე ფეხბურთელთან უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. „კოლხეთიდან“ ორი მოთამაშე შევარჩიეთ და მათი გადმობირება გვსურს. უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა და პასუხიც მაშინ მექნება.

### ბაზა და სტადიონი

შესაძლოა, იჯარით ავიღოთ რომელიმე სტადიონი. მართალია, „მერანს“ თავისი არასტანდარტული სავარჯიშო მოედანი გააჩნია, მაგრამ ძირითად მოედანზეც გვიწევს ვარჯიში. პირველ ჯგუფში თამაშისას კი ძირითად მოედანზე ვარჯიშის უფლება არ გვექნება. გუნდი, ალბათ, „შრომით რეზერვებში“ ან გლდანის 75-ე პროფტექსასწავლებლის მოედანზე ივარჯიშებს.

### რატომ წავაგეთ პრინციპული შეხვედრები

როგორი საწყენიც უნდა იყოს მწვრთნელთათვის, მე ვთვლი, რომ ისინი შეცდნენ ტაქტიკის არჩევისას. მაგალითად, აკადემიასთან შეხვედრაში 5-4-1 ტაქტიკა აირჩიეს. ეს ყოვლად გაუმართლებელია. როცა შინ დაცვით ფეხბურთს ამჯობინებ, სტუმრად როგორღა უნდა ითამაშო? თავდასხმაში მხოლოდ ერთი კაცი — სულიკო დავითაშვილი გვყავდა, ქართულ საფეხბურთო სამყაროში „აბრეზად“ ცნობილი. მარცხენა ფლანგზე რომ გადიოდა, ეკარგებოდა — ჩააწოდებდა საჯარიმოში და იქ კი კაციშვილი არ იყო. იძულებად განვაცხადე ეს არასახარბიელო შედეგი, რომ ცხელ გულზე ვიფიქრეთ, ეს ყველაფერი შეგნებულად ხომ არ გაკეთდა, „დინამოსგან“ დიდი სხვაობით რომ არ დავწინაურებულიყავით. მოგების შემთხვევაში სხვაობა ექვს ქულამდე გაიზრდებოდა. მაგრამ დრო გავიდა და მივხვდით, რომ ეს ფრე წინასწარგანზრახული არ ყოფილა. ახლა რაც შეეხება „დინამო-2“-თან წაგებას. თამაში მატჩის დღეს „დინამოს“ სტადიონიდან ბაზაზე გადაიტანეს, ამის გამო ბევრი ფეხბურთელი სათამაშოდ დროზე არ გამოცხადდა, რამაც ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა. გარდა ამისა, „დინამო-2“-მა ჩვენს წინააღმდეგ ძირითადის ორი ფეხბურთელი — კობიაშვილი და დემეტრაძე გამოიყვანა. „დინამომ“ მოგებისთვის ყველაფერი იღონა. ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ფეხბურთელთა ჯგუფიდან ჯგუფში „მილინების“ ის წესი, რომელიც დღეს არსებობს, ჩემთვის თავიდანვე მიუღებელი იყო — არ შეიძლება ფეხბურთელმა ორი ლიგის თამაშები პარალელურად ჩაატაროს.

### ხომ არ ერევით მწვრთნელის კომპეტენციაში?

ფეხბურთი რომ არ მქონდეს ნათამაშები, ჩემს აზრს ტაქტიკაზე არც გამოვთქვამდი. ერთადერთი გამონაკლისი აკადემიასთან თამაში იყო, როდესაც მწვრთნელს ტაქტიკურ შეცდომაზე მივუთითე. სხვა შემთხვევა არ ყოფილა, ან რატომ უნდა ჩავრეულიყავი მწვრთნელის კომპეტენციაში, როცა გუნდი წარმატებით თამაშობდა.

### რატომ გამოიცვალა პირველ წრეში მწვრთნელი

ანზორ გძელიძე გამოცდილი სპეციალისტია და მისი გაშვება არც მიფიქრია. მაგრამ პირველი წრის შუაგულში შევნიშნე, რომ გუნდში დისციპლინა შესუსტდა. მწვრთნელმა ფეხბურთელების მხარე დაიჭირა, მათ პოზიციებზე გადავიდა. ხოლო მწვრთნელის ახლო ურთიერთობა ფეხბურთელთან ხშირ შემთხვევაში არ არის სასურველი. როცა ერთი ხანობა სატურნირო ცხრილში ჩამოვქვეითდით, მწვრთნელმა მდგომარეობის გაუმჯობესების პირობა ვერ მოგვცა. ამიტომაც დადგა გუნდში ახალ მწვრთნელის მოყვანის საკითხი, თუმცა ჩვენ გძელიძე არ გაგვიშვია. ის თავისი ნებით წავიდა.

### ახალი მწვრთნელი

პირველი წრის დასასრულის „მერანი-91“-ს ახალი მწვრთნელი — სერგო გაბელაია ჩაუდგა სათავეში და მას შემდეგ გუნდი პირველ ადგილს არ ჩამოცილებია. თუ რა დიდი წილი მიუძღვის მას გუნდის წარმატებაში, ამას ბევრი ახსნა არ სჭირდება. გაბელაია დიდ ყურადღებას აქცევს გუნდის ნაკლოვანებებს და ამბობს, თუ რაღაცეები არ შეიცვალა, „მერანს“ I ჯგუფში არაფერი ესაქმებაო.

### გაბელია გუნდის გაძლიერებას ემხრობა

მიზანს, რომელსაც ვემსახურებოდი, მივაღწიე — გუნდი I ჯგუფში გადავიდა. მაგრამ ასეთი თამაშით ჩვენ იქ გაგვიჭირდება. ამიტომ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებით „მერანი“ უნდა გაძლიერდეს.

### რატომ ხუთი მცველი?

ამ ტაქტიკით ჩვენ [illegible] და აკადემიასთანაც ამიტომ ვამჯობინეთ 5-4-1 სისტემა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცვით ვარიანტს ვემხრობით. თანაც, ხომ იცით, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს. მოხდა ისე, რომ აკადემიასთან ვერ მოვიგეთ და ამ მარცხის გამო ეს ტაქტიკა კრიტიკის საგანი შეიქნა. ხომ შეიძლებოდა, იმ დღეს 3 მცველით გვეთამაშა და მაინც წაგვეგო? ფეხბურთი ის თამაშია, რომელიც ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შედეგებით მთავრდება.

### გალაღებული ფეხბურთელები

„ცხინვალთან“ გამარჯვების შემდეგ ფეხბურთელები უზომოდ გახარებულნი იყვნენ. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანთან მოვახერხეთ გასაუბრება.

გია ჭანტურია — ეს თავად უნდა გამოსცადო კაცმა რას ნიშნავს შენი შრომის შედეგს რომ დაინახავ. ჩვენ დიდი ხანია ვესწრაფვოდით I ჯგუფში გადასვლას და ნატვრა აგვიხდა. ამ წარმატებას ალბათ დიდი ზეიმით აღვნიშნავთ.

რეზო ნაჭყებია — „კოდაკოსთან“ მოგების შემდეგ საბოლოოდ გაირკვა, რომ პირველები გავხდით. სად გავრბოდი, ან რას ვყვიროდი სიხარულისგან, არ მახსოვს.

სულიკო დავითაშვილი, იგივე „აბრეზა“ წარმატებას პრეზიდენტის წვლილთან ერთად მწვრთნელთა მუშაობითაც ხსნის. ამავე დროს, უკვე მომავალ თამაშებზე ფიქრობს. „მართალია, ძნელია რანგით მაღალ ჯგუფში თამაში, მაგრამ ფეხბურთელი მეტოქის ძალაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ იმაზე, როგორ დაამარცხოს იგი. ვეცდებით, ჩვენი მაყურებლები გავახაროთ. სხვათა შორის, მათ მნიშვნელოვან ნაწილს გოგონები შეადგენენ. ჩვენ ძალიან გვიყვარს ისინი, რა თქმა უნდა, მათაც ვუყვარვართ.“

გია მახანაშვილი პირველი წრის შემდეგ „შევარდენიდან“ გადმოვიდა და იცის, რა განსხვავებაცაა ჯგუფებს შორის, ამიტომ ვთხოვე, პარალელი გაევლო „შევარდენსა“ და „მერანს“ შორის და ესეც ვკითხე — შეძლებს თუ არა „მერანი“ ახლანდელი შემადგენლობით I ჯგუფში თამაშს-მეთქი.

„რა თქმა უნდა, კლასით ამ ორ ჯგუფს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ, ჩემი აზრით, „მერანი“ I ჯგუფში დღესაც არ იქნებოდა მანანჩალა. და თუ ვინმეს კიდევ დავამატებთ მაშინ უფრო სერიოზულ მიზნებზეც შეგვიძლია ვიფიქროთ. კიდევ ერთი ფაქტორი მინდა აღვნიშნო: გუნდის ფინანსური მდგომარეობა ძალზე მყარია. ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს, როცა ხელფასს დროზე, ზოგჯერ კი ადრეც კი უხდიან.“

ჯანიკო კენჭიაშვილი, „მერანი-91“-ის კაპიტანი:

„2-3 კაცის გარდა, I ჯგუფში არავის გვითამაშია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, თავს იქაც არ შევირცხვენთ. ჩვენი წარმატება აბსოლუტურად კანონზომიერი იყო. მართალია, „დინამო-2“-თან ბრძოლა გაგვიჭირდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ.“

**მერაბ მამულაშვილი**

იყიდება მე-19 საუკუნის ბოლოს, სამეფო კარის ცნობილ ოსტატ იული ჰენრიხ ციმერმანის მიერ აწყობილი საოჯახო ორღანი (CROWN ORGAN).
ფასი 3 500 დოლარი.
ცნობებისათვის დარეკეთ:
39-48-29; 93-16-08

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
მაგ კომპუსი
გარანტიით შემდეგომი მომსახურება
93-91-03
37-12-96

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

სარბიელი
ტოტალიზატორი "CROCO"
ევროპის ჩემპიონატი
ფინალური თამაშის ფსონები იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში“
ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ
ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო“ იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

## ჩოგბურთი

# გამოსწორებული ხულიგნის ოინი

სამშაბათი უიმბლდონში ე.წ. ქალბატონთა დღე იყო, მაგრამ დიაცთა შეჯიბრში ღირსშესანიშნავი რომ არაფერი მომხდარა, ყურადღების ფოკუსში ისევ და ისევ ვაჟები მოხვდნენ და მერე ვინ — ბრიტანელები, ბოლო წლებში რომ არაფრით გამოუჩენიათ თავი.

მეორე დღე
სამშაბათი, 25 ივნისი

1976 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ერთბაშად შვიდმა ბრიტანელმა ვაჟმა გაალწია მეორე წრეში. ამას მათი ახალი თავკაცი დევიდ ლოიდი უთუოდ დამსახურებად მიითვლის.

დღის მთავარი თამაში მთავარ კორტზე გაიმართა. გავარდა მოწინავე რვა განთესილთაგან მეხუთეც — დიდი სლემისა და საფრანგეთის პირველი რუსი ჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვი. ასოკირკიტა სტატისტიკოსებმა ამის გამო შენიშნეს, რომ მსგავსი რამ, ანუ საფრანგეთის ჩემპიონის უიმბლდონის პირველსავე წრეში გავარდნა წინა ჯერზე 1990 წელს ალინუსხა: მაშინ ეკვადორელმა ანდრეს გომესმა ამერიკელ ჯიმ გრებთან წააგო.



თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 5) 7:6, 6:3, 6:7, 4:6, 7:5. რუსმა ორი დღით ადრე, კვირას, ჰალეში (გერმანია), იქაური საბალახო ტურნირის ფინალი 2 საათსა და 3 წუთში 7:6, 3:6, 4:6 წააგო 25 წლის შვედ ნიკლას კულტისთან, ვინაც პროფესიონალი 1989 წელს გამხდარა, მაგრამ აქამდე სულ ორი ტურნირი მოეგო და ორივე — ადელაიდაში (სამხრეთი ავსტრალია), 1992 და 1993 წლებში. უენიამ ფინალი შეხვეული მუხლით ითამაშა და ოთხ მატჩ-პოინტსაც დაუძვრა, თუმც კი ეისებით მეტოქეს 15-13 აჯობა.

ჰენმანი მსოფლიო კლასიფიკაციაში ბრიტანელთაგან უწინარეს, 62-ე ადგილზეა და თვით ექს-კანადელ გრეგ რუსეცკისაც უსწრებს. ეს ჯეელი საჩოგბურთო სამყარომ შარშან გაიცნო, მაგრამ ვაი ასეთ სახელის გათქმას: უიმბლდონის 109-წლიან ისტორიაში პირველი გარიცხეს შეჯიბრიდან, რადგანაც ბურთის მომტანი გოგონა შეურაცხყო.

ბრიტანელმა 21 ეისი გაახერხა, რუსმა — მხოლოდ 9. რუსი მოწოდებისას ზედიზედ ორჯერ 10-ჯერ შეცდა, ბრიტი — 7-ჯერ. ჰენმანს სამ ხელში უნდა გაემარჯვა, მაგრამ თაი-ბრეიქი ცუდად გაითამაშა. მერე რუსი მიეძალა და ცუდ დღეში ჩააგდო: მეოთხე ხელიც მოუგო, მეხუთეში ბრეიქიც გაახერხა და 5:4-ზე მატჩის მოსაგებად აწვდიდა, მაგრამ თიმი დაუძვრა ორ მატჩ-პოინტს, ხელიც მოიგო, მერე კი თავის მოწოდებაზეც ივარგა და მეტოქისაზეც.

მატჩმა 3 საათსა და 36 წუთს გასტანა. კაფელნიკოვმა თქვა, აქ რომ მოვდიოდი, მინიმუმ სამი-ოთხი წრის გავლა არ მაეჭვებდაო; გული წაგებაზე მეთანალრება, თორემ თამაშის ხარისხით უკმაყოფილო როდი ვარო. სხვა განთესილმა ვაჟებმა დამაჯერებლად მოიგეს: თომას ენკვისტი (შვედეთი, 9) — ალბერტ ჩანგი (კანადა) 6:4, 6:1, 6:1; მარკ როსე (შვეიცარია, 14) — სქოთ დრეიპერი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 6:3, 6:1; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 16) — იან სიმერინკი (პოლანდია) 7:6, 7:6, 6:4; თუმც ერთი კურიოზიც მოხდა: მიხაელ შტიხი (გერმანია, 10) — შენგ სხალკენი (პოლანდია) 6:3, 3:6, 4:1; კორტი ერთობ სლიპინა რომ გახდა და შტიხი თავდაყირა დაერჭო, თამაში გადაიდო.

ბობოლა ქალთაგან ყველამ მოიგო. შა-

> შარშან ჰენმანმა ქაროლაინ ჰოლს ჯერ ბურთი თავში გაარტყა, მერე კი მოუბოდიშა, თაიგულიც მიართვა და გადაკოცნა; წელს ხულიგან-ყოფილმა თვით „კალაშნიკოვად" ცნობილი კაფელნიკოვი გააგდო

რშანდელმა ჩემპიონმა გრაფმა დუნედ კი დაიწყო 19 წლის 128-ე ჩოგანთან, მაგრამ მერე მეტოქე ალარ დაუზოგავს.

შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ლუდმილა რიხტეროვა (ჩეხეთი) 6:4, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — ადრიანა სერა-ძანეტი (იტალია) 6:3, 6:4; ანკე ჰუბერი (გერმანია, 5) — გალა ლეონ-გარსია (ესპანეთი) 6:0, 6:1; მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 9) — იანა კანდარი (გერმანია) 6:0, 6:0.

## მძლეოსნობა



### 100 მ: 9,87 წმ

# ჰენკელს დედობა ვერ მოხდენია

დღე არ გავა, ოლიმპიადის ფავორიტებმა სასწაული შედეგები რომ არ გაახერხონ. აი, სამშაბათსაც, ჰელსინკში ასპარეზობისას ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმა 100 მეტრი 9,87 წამში გაირბინა, რაც არა მარტო სეზონის საუკეთესო შედეგია, არამედ მძლეოსნობის მატიანეში ორად-ორ დროს ჩამოუვარდება.

ფრედრიქსი 100 მეტრზე უკეთ 200-ზე დარბის და არც მალავს, რომ მოკლე სპრინტს სათადარიგო სახეობად მიიჩნევს. ჰელსინკის სტარტის წინაც უთქვამს, ჯერაც არ გადამიწყვეტია, ატლანტაში 100 მეტრზეც თუ ვიასპარეზებო. ახლა ფრანკი ალბათ უკვე გადაწყვეტდა, რაკილა მისმა უმთავრესმა მეტოქემ 200 მეტრზე სირბილში, ამერიკელმა მაიქლ ჯონსონმა კვირას ამ დისტანციაზე ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რითაც დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მიიღო ნამიბიელთან დაუსწრებელ შეჯიბრში.

ამასობაში სხვა ქვეყნების გუნდების შემადგენლობებიც დგინდება. ბარსელონის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა სიმაღლეზე მხტომელმა ქალმა ჰაიკე ჰენკელმა (ფოტოზე) თავად თქვა უარი გამონაკლისზე, ქვეყნის მძლეოსნობის მამებმა რომ შესთავაზეს. მართალმა ჰაიკემ, მას შემდეგ, რაც შვილი შეეძინა, ვერაფრით დაძლია საკვალიფიკაციო ნორმატივი, ატლანტაში დაუმსახურებლად ასპარეზობა კი არ იკადრა.

800 მეტრზე სირბილის ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, კენიელი ბილი კონჩელა 33 წლისა მოყრილა; სპორტიდან კარგა ხნის წასულიც იყო, მაგრამ ახლა ისევ სტადიონისკენ გაუწია გულმა, თუმც მუხლმა დაალალატა და უარი ათქმევინა კენიელთა შესარჩევ შეჯიბრში მონაწილეობაზე. და მაინ, ბილი იქადნება, გაისად, ათენის მსოფლიო ჩემპიონატზე უსათუოდ ვიასპარეზებო.

შუბის ტყორცნის მსოფლიო რეკორდსმენს, ჩეხ იან ჟელეზნის ნაოლიმპიადევს ხელობის გამოცვლა ელის: „ატლანტა ბრეივზის" კეტბურთელები მტყორცნელად („ფიჩერად") გამოცდას უპირებენ.

**რეზო ნემსაძე**





## უცხო ხილი

# კრიკეტი

დიდი ნოვატორის — ყაფლან ჯანდიერის მიერ ჩვენს ქვეყანაში დანერგილი ინგლისური რიკ-ტაფელობის ქართველ მოყვარულებს წინა კვირაში დიდი ზეიმი ჰქონდათ — Ayety TV-ის ESPN-ის მეშვეობით თავიდან ბოლომდე უყურეს ინგლისი — ინდოეთის მეორე ტესტს, ლონდონის უცნობილეს საკრიკეტო სარბიელზე — ლორდსზე რომ გაიმართა 20-24 ივნისს.

თამაში ისტორიული იყო იმდენად, რომ დიდი მატჩი უკანასკნელად იმსაჯა მსოფლიოს უგამოჩენილესმა მსაჯმა, კრიკეტის ენაზე „ამფაიერმა", 63 წლის იორქშირელმა ჰაროლდ, მოფერებით „დიქი" ბერდმა. ამ ღვაწლმოსილ კაცს ბოლო 23 წლის განმავლობაში 66 ტესტი უმსაჯია. რაკილა საერთაშორისო კრიკეტში სულ ბოლო დრომდე წესად ჰქონდათ, რომ ორივე მსაჯი მასპინძელი ქვეყნიდან ყოფილიყო, დიქის თითქმის მთელი კარიერა ლორდსზე, ოვალზე, ოლდ ტრაფორდზე, ტრენტ-ბრიჯზე, ეჯბასთონზე და მისთანებზე გაუტარებია და იმდენი რამ გადახდომია თავს, რომ მისი ავტობიოგრაფიის ახალი, შევსებული გამოცემა ამთავითვე ბესტ-სელერად ქცეულა და ბიბი-სის მსოფლიო მაუწყებლობა მას ჯილდოდ სთავაზობს საკრიკეტო ვიქტორინაში გამარჯვებულ რადიო-მსმენელს.

დიქი ბერდი დიდი ამბით გააცილეს: პირველსავე დღეს, მოედანზე გამომავალი გაატარეს ცოცხალ დერეფანში. ბერიკაცს ისე აუჩუყდა გული, რომ ატირდა; მერეც კარგა ხანს იმშრალებდა ცრემლს და თვალში მთლად კარგად ვერ იყურებოდა, რის გამოც უკვე მეხუთე ბურთის მოწოდებისას ინგლისის კაპიტან მაიქლ აფერთონს შარი მოსდო, ფეხი უშნოდ დაუფარე ბურთს, ბჭეს რომ ნალდად დალეწდაო და გაურბენლად გააგდო. ამას კრიკეტულად „დაქი" (კვატი) ჰქვია.

მოთამაშეები ბერდს მთელი თამაშის განმავლობაში ტაქტიანად ექცეოდნენ, თუმც ყელის იოგები არც ამჯერად დაუზოგავთ და უამრავჯერ მორთეს ყვირილი, ტაფელოსანი გასაგდებიაო. ასე იყო თუ ისე, ხუთი დღის განმავლობაში თამაში რიგიანად მაინც არ გახურებულა და ქართველ ტელე-მაყურებელსაც ნალდი კრიკეტი ფაქტობრივად არც უნახავს. ერთი ეგ იყო, რომ ბოლო, მეხუთე დილით გაიფაფხურეს ინდოელებმა და კინალამ გარდატეხეს დუნედ, ფრესკენ მიმდინარე თამაში, მაგრამ მალე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ცნობილი რასელის გამოისობით ყველაფერი მოწესრიგდა.

აფერთონის გავარდნის შემდეგ ინგლისს საქმე ცუდად წაუვიდა და 5 ბჭის სანაცვლოდ მხოლოდ 107 გარბენი ჰქონდა, მაგრამ აქ თამაშში ჩაბმა მოუწიათ გრემ სორფსა და ჯექ რასელს. ამათ პირველი დღის ბოლოსთვის მონაგარი უდანაკარგოდ აიყვანეს 238-მდე.

ინგლისმა პირველი შესვლა პარასკევს დაასრულა 130.3 წყებაში გახერხებული 344 გარბენით. ინდოეთმა ამის პასუხად კვირას, სამხრისთვის 429 მოაგროვა 169.3 წყებაში. თავი ისახელა ჭაბუკმა საურავ განგულიმ, ვინაც ტესტ-დებიუტი „სენჩურით" (ასეულით) აღნიშნა — 131 გარბენი შეასრულა.

მატჩის ბოლომდე ზოლზე მეორედ შედიოდა ინგლისი. საბოლოოდ ამისი მონაგარი 121 წყებაში 9 ბჭის სანაცვლოდ მოგროვილი 278 გარბენი გამოვიდა. კვირასვე ცხადი შეიქნა, რომ ინდოეთი ინგლისს 10 ტაფელოსანს მატჩის ბოლომდე ვერ გაუგდებდა და ვერც თავად მოასწრებდა ზოლზე მეორედ შესვლის დაწყებას, რის გამოც ორშაბათს ხალხი სტადიონზე ალარც მისულა. შედეგი — უფერული ფრე.

**თენგიზ არტამონოვი**

## ავტორბოლა

# ინდიკარული ფათერაკები



**ინდიკარის ჩემპიონატის** მეოთხე ეტაპი კალიფორნიაში, ლონგ-ბიჩის ქუჩებში ჩატარდა, სადაც ადრე ფორმულა 1-ის ეტაპიც გამართულა. პოულიდან სტარტი ბრაზილიელმა დეფერანმა აილო, მის უკან კი ჩიპ განასის გუნდის პილოტები — ზანარდი და ვასერი იდგნენ.

ეს სამეული ამავე რიგით ლიდერობდა, ვიდრე ჩამორჩენილებს წამოეწეოდნენ. აქ რაჰალმა გამოიჩინა სიჯიუტე და არ გაატარა ზანარდი — მოსახვევში გზა მოუჭრა და რბოლას გამოსთიშა, თავად კი ცოტა ხანს დადგა და ვითომც არაფერი მომხდარიყო, ისე გააგრძელა რბოლა. ცოტა ხანში კრისტიან ფიტიპალდი წამოეწია მურს და მოსახვევში შიგა მხრიდან გასწრება დაუპირა, მაგრამ ეს მანევრიც ავარიით დამთავრდა: ორივე პილოტი გამოეთიშა რბოლას.

ამათ ფიტიპალდის ბიძა, სახელად ემერსონიც თან გაიყოლეს: ამან მოსახვევიდან გამოსვლისას გვიან შენიშნა ნამსხვრევები და მურის ბოლიდს მოწყვეტილ ბორბალს შეეჯახა. განაწყენებულმა კრისტიანმა, ვინაც ჩათვალა, რომ მურმა გზა მოუჭრა, მუშტებით გაიწია კანადელზე, მაგრამ მარშლებმა (ტრასის მოსამსახურეებმა) ალაგმეს, რბოლის შემდეგ კი 5 000 დოლარითაც დააჯარიმეს.

შემდეგ მაყურებელი გორდონმა გამოაცოცხლა. საწვავის ჩამატებისას მის ბოლიდს ცეცხლი გაუჩნდა. ინდიკარის საწვავი ეთანოლი უალოდ იწვის. ამიტომ ცოტა არ იყოს უცნაური სანახავი იყო პილოტი, ვინაც უეცრად ხელების ქნევა მორთო და კოკპიტიდან ამოხტომას ლამობდა, მექანიკოსები კი თითქოსდა დასამშვიდებლად ვედრებით წყალს ასხამდნენ. ხანძარი მალე ჩააქრეს და გორდონმაც რბოლა გააგრძელა.

შემდეგ ანდრეტისა და ანსერის) ჯერი დადგა. მე-7 პოზიციაზე მყოფი ანდრეტი ცდილობდა დაწეოდა ანსერს. მაყურებელიც მოუთმენლად ელოდა მათ დუელს, მაგრამ ანდრეტი გზად ფაზის გადაეყარა და წინა სპოილერი შეალეწა; არც შეუნელებია, ისე შეიარა ბოქსებში, საწვავი ჩაიმატა და მომსხვრეული სპოილერით გააგრძელა რბოლა.

ამასობაში ლიდერები თანდათან შორდებოდნენ ძირითად ჯგუფს. დეფერანს ვასერი მისდევდა, მას კი ტრეისი უტევდა და გაუსწრო კიდეც, მაგრამ მაშინ, როცა გასწრების ამკრძალავი ყვითელი ალმები გამოფინეს, „სტოპ-ენდ-გოუ"-თი დაჯარიმდა და პრიზიორობაზე ოცნებას შეეშვა. ამის გამო მესამე ადგილზე გავიდა ჯონსთონი, რომელიც აქამდე ათეულშიც კი არასდროს მოხვედრილა. 101 წრეზე (სულ 105 იყო გასავლელი) დეფერანმა სიჩქარეს უკლო და მდევრები გაატარა, რბოლა კი მეხუთემ დაამთავრა. პირველობა ისევ ვასერს დარჩა.

**კალიფორნიიდან** ჩემპიონატის მონაწილეებმა პენსილვანიის ქალაქ ნაზარეთის ტრეკზე გადაინაცვლეს. პოული ტრეისიმ მოიპოვა, მის უკან კი ამ ტრეკზე შარშანდელი გამარჯვებული ე. ფიტიპალდი, ვასერი და პრუეტი განლაგდნენ, ხოლო მათ კი „განუყრელი მეგობრები" — ანდრეტი და ანსერი მიყვნენ. სტარტმა მშვიდობიანად ჩაიარა. რბოლაც თავიდან წყნარად მიმდინარეობდა. სიმშვიდეს ვერ შეურიგდა ინდიკარის უნორჩესი პილოტი მური, სიჩქარეს უმატა და 59-ე წრისათვის 13-ე სასტარტო ადგილიდან ლიდერთა სამეულის უკან ალმოჩნდა.

ამან გამოაცოცხლა სხვა მონაწილეებიც. ანდრეტიმ, რომელიც აქამდე მესამე იყო, გვერდი აუარა უფროს ფიტიპალდის და ტრეისის აედევნა. ეს უკანასკნელი ელოდა მომენტს, რათა უეცრად მოწყვეტოდა მდევრებს და უპირატესობა გაეზარდა. მალე ამის დროც მოვიდა — პიტ-სტოპების სერია დაიწყო. კანადელი ერთი წრით მეტს დარჩა ტრასაზე და მოწინააღმდეგეთა შესახებ ინფორმაციას დაელოდა.

ცნობაც სასიამოვნო მიიღო: ფიტიპალდი მექანიკოსებს შეეყოვნებინათ, ხოლო ანდრეტის ბოქსებიდან გამოსვლისას ძრავა ჩაქრობოდა. ახალგაზრდა ტრეისის მაინც ნერვებმა უმტყუნეს: ბოქსებში დიდი სიჩქარით შეიჭრა, გვიან დაამუხრუჭა და თავისივე მომსახურე პერსონალი მოცელა. მიმოფანტულ, ნაგვემ მექანიკოსებს მომსახურების თავი ალარ ჰქონდათ. ტრეისი ტრასას დაუბრუნდა. როცა ბოქსებში წესრიგი დამყარდა, მრბოლი იქ კვლავ შევიდა, მაგრამ ლიდერობას გამოეთხოვა, ცოტა ხანში კი სახიფათო სიტუაციის შექმნისათვის კიდეც დაჯარიმდა.

ამით ისარგებლა ანდრეტიმ, რომელსაც ჩრდილივით მისდევდა ანსერი, და დაწინაურდა. შემდეგ პეის-კარი გამოჩნდა და პილოტები ცოტათი დაამშვიდა. რე-სტარტის დროს ანდრეტი ისე მოწყდა ადგილს, რომ მდევრებმა მხოლოდ თვალის გაყოლება მოასწრეს და მეორე ადგილისთვისლა შეებნენ ერთმანეთს. ჯერ ე. ფიტიპალდიმ იმარჯვა და ანსერი და ტრეისი ჩამოიტოვა, მაგრამ მალე ძრავამ უმტყუნა და თანდათან ჩამორჩა, საპრიზო ადგილისათვის ბრძოლა კი მურმა და ანსერმა გააგრძელეს.

ფინიშამდე ექვსი წრე რომ რჩებოდა, ტრეისიმ იმარჯვა და ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა. რბოლა ანდრეტიმ მოიგო და შეახსენა მეტოქეებს, რომ ბოლიდების მსხვრევის გარდა ბრწყინვალე მოგებაც შეუძლია.

**მაისის ბოლო კვირას** ტრადიციულად „ინდიანაპოლის 500 მილის" გათამაშება იმართებოდა, მაგრამ წელს ეს რბოლა „ინდის მსოფლიო სერიის" კალენდარში ალარ შეუტანიათ. ამის მიზეზი ისაა, რომ ინდიანაპოლისის ტრეკის მფლობელი ტონი ჯორჯი ინდიკარის ასპარეზობის მომწყობი ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოდან გავიდა, სამაგიეროდ „ინდი რეისინგ"-ის ლიგა ჩამოაყალიბა და საკუთარი ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტა. ამისი რბოლები მხოლოდ ოვალურ ტრეკებზე გაიმართება.

განხეთქილების გამო მაისის ბოლოს ორი 500-მილიანი რბოლა ჩატარდა: ბრუკლინში „აშშ-ის 500 მილი", რომელიც ინდიკარის მსოფლიო სერიის ჩათვლაში შედიოდა, ხოლო ინდიანაპოლისში — ლიგის „ინდი-500".

ბრუკლინის ოვალზე პოული ჩემპიონატის ლიდერმა ვასერმა მოიპოვა და გასახურებელ წრეზე გრანდიოზული ავარიის ინიციატორიც შეიქნა: მოულოდნელად შეეჯახა ფერნანდესს, ამათ კი კიდევ 10 ბოლიდი შეასკდა. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა და ერთი საათის შემდეგ რბოლა თავიდან დაიწყო. ბევრი პილოტი ამჯერად სათადარიგო ბოლიდით გამოვიდა.

ამის შემდეგ რბოლაში სერიოზული არაფერი მომხდარა, თუმც ლიდერობას შვიდმა პილოტმა გაუსინჯა გემო. კვლავ არ გაუმართლა ვასერის თანაგუნდელ ზანარდის, რომელიც 134 წრე ლიდერობდა, მაგრამ მისი მანქანის ძრავამ ვერ გაუძლო დაძაბულობას (სიჩქარე ხშირად 370 კმ-სთ აღწევდა) და 163-ე წრის შემდეგ გაფუჭდა. რბოლა ვასერის გამარჯვებით დამთავრდა.

საბოლოოდ, პრიზიორთა დუეინი ასე გამოიყურებოდა: 1. ვასერი (რჰ); 2. გუჯელმინი (რფ); 3. მორენო (ლფ); 4. რიბეირუ (ლჰ); 5. ბრანდლი (რფ); 6. ლოუსონი (ლმ); 7. ტრეისი (პმ); 8. ანსერი (პმ); 9. დეფერანი (რჰ); 10. ე. ფიტიპალდი (პმ); 11. ჯონსთონი (რჰ); 12. კრ. ფიტიპალდი (ლფ).

მე-80 „ინდიაპოლისის - 500" წინებისაგან განსხვავებით ალიარებული ვარსკვლავების გარეშე ჩატარდა, თუმც მონაწილეებში მაინც ერივნენ ცნობილი პილოტები: ალბორეტო (ფორმულა-1-ის ყოფილი ვიცე-ჩემპიონი) და ლინდიკი (ინდი-500-ის გამარჯვებული). უმეტეს პილოტთა გამოუცდელობამ თავისი ქნა. რბოლის განმავლობაში მრავლად იყო ავარია, თანაც საკმაოდ მძიმე. ბოლო წრე ზამპერდიმ, გერერომ და სალაზარმა ცეცხლისა და კვამლის ფოიერვერკით აღნიშნეს. ზამპერდი და სალაზარი ჰოსპიტალში ალმოჩნდნენ, გერერო კი დაუეუილობით გადარჩა.

რბოლისას ახალბედა პარინგთონმა „ინდი -500"-ის ერთადერთი ქალი მრბოლის — ლინ სენთ-ჯეიმზის ახლო გაცნობა მოინდომა, რაც ამას წინამხრის მოტეხილობად და მრავალრიცხოვან ჭრილობად დაუჯდა. საბოლოოდ სამ-საათ-ნახევრიანი რბოლა ლუზირის (რფ) გამარჯვებით დასრულდა.

ინდიკარის მსოფლიო სერიის ბოლო ეტაპებმა დაამტკიცეს, რომ წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით „რეინარდ-ჰონდას" კომბინაციაა საუკეთესო, ვასერს კი სერიოზული მიზნები აქვს. თუმცა წინ კიდევ 10 რბოლაა და შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

პირადი პირველობა (6 ეტაპის შემდეგ): ვასერი (რჰ) 98 ქულა; ანსერი (პმ) 58; პრუეტი (ლფ) 49; რიბეირუ (ლჰ) 38; დეფერანი (რჰ) 37; მური (რმ) 36; კრ. ფიტიპალდი (ლფ) 33; ტრეისი (პმ) 31 და ანდრეტი (ლფ) 31.

**ალეკო ჭაბუკიანი**

**შემოკლებანი**

| შასი | | ძრავი | |
|---|---|---|---|
| პ | — პენსკე | ფ | — ფორდი |
| ლ | — ლოლა | მ | — მერსედესი |
| რ | — რეინარდი | ჰ | — ჰონდა |
| ი | — იგლი | ტ | — ტოიოტა |

## რაგბი

საქართველოს XXIX პირველობა

### „ბ" ჯგუფი

24. VI. ვაკე: უნივერსიტეტი 13 (6) (ლ, გ, 2ს) — ყოჩები II 11 (6) (ლ, 2ს)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 6 | 5 | 0 | 1 | 87:34 | 8- 4 | 10 |
| ყოჩები II | 5 | 3 | 0 | 2 | 84:71 | 10-10 | 6 |
| უნივერსიტ. | 5 | 2 | 0 | 3 | 69:98 | 9- 9 | 4 |
| დელფინები | 4 | 0 | 0 | 4 | 26:55 | 2- 6 | 0 |


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.

ტელეფონი: 39 48 29